საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 21 0000776945

06/08/2021

შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინ ისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლ ის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების თაობაზე, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება არღვევს აკრედიტაციის პირობებს.

1.3. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის თანახმად, აკრედიტაციის გაუქმების შემთხვევაში:
ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის მიღების უფლებას;
ბ) ის სტუდენტი, რომელიც სწავლობდა სახელმწიფო დაფინანსებით, უფლებამოსილია გადავიდეს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დაფინანსების დარჩენილი ოდენობა გადაიტანოს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე;
გ) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წყვეტს რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას. ამ შემთხვევაში სტუდენტებს 5 წლის განმავლობაში უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და უფლებამოსილი არიან ისარგებლონ მობილობის უფლებით.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს N670727 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2.2.ცენტრის დირექტორის 2021 წლის 23 აპრილის შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტის „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ“ №396584 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი (შემდგომში ექსპერტთა ჯგუფი). ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილადშესაბამისობაშიამოთხოვნებთან**	**ნაწილობრივშესაბამისობაშიამოთხოვნებთან**	**არარისშესაბამისობაშიმოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები,				

მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.3. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.
2.4.ზეპირი მოსმენა გაიმართა 2021 წლის 23 ივლისს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
2.5. საბჭო აღნიშნავს, რომ გაითვალისწინა 2021 წლის 23 ივლისს გამართულ ზეპირი მოსმენის სხდომაზე უსდ-ს წარმომადგენელთა მიერ დაფიქსირებული პოზიცია, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული შეფასება და მიიჩნია, რომ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

3. სარეზოლუციო ნაწილი
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 24-ე მუხლის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, 15 ხმით არცერთის წინააღმდეგ,

გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტის ამ გადაწყვეტილების დანართი №1-ით გათვალისწინებული „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება,
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „შედარებითი და კომერციული სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 06 აგვისტოს №776618 სხდომის ოქმის № 04 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად. (დანართი №3).

4. საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები და განსაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

4.1. „სამართლებრივი არგუმენტაცია და დასაბუთება“ სილაბუსი კვლავ გადამუშავდეს რათა მეტად ორინტირებული იყოს ქართულ რეალობაზე. ასევე მიეთითოს უცხოოური სასამართლოს გადაწყვეტილებების რეკვიზიტები, გასწორდეს ტექნიკური შეცდომები სასამართლოს დასახელებებთან დაკავშირებით. სასამართლო გადაწყვეტილებები შეირჩეს კომერციული სამართლისათვის პირდაპირ დაკავშირებული თუ არა, შედარებით რელევანტური სასამართლო პრაქტიკით.

რჩევები:

4.2. „აკადემიური წერისა და სამეცნიერო კვლების მეთოდები“ სილაბუსი დაიხვეწოს, რათა შენარჩუნებული იყოს სასწავლო კურსის შინაარსის ლოგიკური ჯაჭვი;

4.3. სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსში მოხდეს ლიტერატურის განახლება სწავლების საფეხურის შესაბამისად.

5. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2021 წლის 23 ივლისს.

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ